

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო გვარის შეცვლის უფლების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოში მაცხოვრებელი ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა გვარები შექმნილ იქნა ხელოვნურად, ამავე ეთნიკური ჯგუფის ისტორიულ-კულტურული ტრადიციებისთვის არადამახასიათებელი მეთოდით.

საქართველოში გვარის შეცვლის აღნიშნული პრაქტიკა, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის პერიოდიდან იღებს სათავეს და აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა საბჭოთა კავშირის პერიოდში, როდესაც ასიმილაციის პოლიტიკის გატარების გზით, არაერთი ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი გვარი იძულებით იქნა შეცვლილი, რაც, მათ შორის, რუსული ენის დომინაციით იყო ნაკარნახევი. აღნიშნულ პროცესს არ ჰქონდა ადგილი მხოლოდ საქართველოში, მაგალითად, გასაბჭოების შემდგომ, აზერბაიჯანული გვარების დაბოლოებებმა შეიძინა რუსული გვარისთვის დამახასიათებელი სუფიქსები¹. ცნობილია, რომ მსგავსი მიდგომა გამოიყენებოდა საქართველოშიც და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეყვანილ სხვა სახელმწიფოებში მაცხოვრებელი სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ (იეზიდები, ბერძნები).

ამრიგად, საქართველოში ეს პოლიტიკა გატარებული იყო სხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართაც და ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც გვარი არათუ მოდიფიცირდა, არამედ, სრულად ხელოვნურად იქნა ფორმირებული და მიკუთვნებული კონკრეტული პირებისთვის. აღსანიშნავია, რომ რუსული ენისთვის უცხო გვარის იძულებითი მოდიფიცირება/შექმნა ხდებოდა, ძირითადად, მშობლის სახელიდან გამომდინარე, რასაც ემატებოდა დაბოლოებები -ევი/-ოვი.

აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს წართმეული ჰქონდათ საკუთარი იდენტობისთვის დამახასიათებელი გვარის ტარების უფლება, ხოლო გაუმართლებელი კულტურული დომინაციის ამ მეთოდის გამოყენებით ეს პირები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას ჰქონოდათ საკუთარი, ავთენტური გვარები. არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამჟამად, საქართველოს მოქალაქეობის მქონე ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს მინიჭებული აქვთ გვარები, რომელიც მათი წარმოშობისთვის არავთენტურ გვარებს წარმოადგენს, ასევე, არ შეესაბამება გვარის ფორმირების გენეალოგიურ თავისებურებებს. ასეთ ნუსხას, მაგალითად, მიეკუთვნება გვარები: პაპანდოპულოვი (პაპანდოპულო), მამედოვი (მამედლი), ჰუსეინოვი (ჰუსეინ ოღლი) და ა.შ. ეს და სხვა გვარები, ძირითადად, ზემოაღნიშნული სუფიქსებით გამოირჩევა (-ევი,-ოვი), რაც მათი

¹ ზვიადაძე, ს., სორდია, გ., *რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში*, ევროპის საბჭო, 2021, გვ. 21. [<https://rm.coe.int/-/1680a2e321>].

წარმომავლობისთვის შეუსაბამოა და მინიჭებულია ხელოვნურად, მათი ტრადიციებისა და კულტურული თავისებურებების უგულვებელყოფის შედეგად.

ეჭვგარეშეა, რომ პირის გვარი წარმოადგენს მისი ეთნიკური კუთვნილებისა და იდენტობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებობდეს მისი დაბრუნების სისტემური და ეფექტიანი მეთოდოლოგია.

ამასთან, ამ კანონპროექტის ინიციატორები მიესალმებიან იმ ინიციატივაზე მუშაობას, რომელიც წარიმართა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის (ქამრან მამედოვი, ბანიამინ კასიმოვი, აითაჯ ხალილოვა, ფარიდ ასკეროვი, რაბილ ისმაილოვი) მიერ და მოიცავდა 25000 ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვების, როგორც უშუალო დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი მექანიზმის გამოყენების, გზით დიდწილად იგივე თემატიკასთან დაკავშირებული ინიციატივის წარმოდგენას. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კანონპროექტი არსებითად განსხვავდება იმისგან, რაც იყო წარმოდგენილი საინიციატივო ჯგუფის მიერ, თუმცა, რამდენადაც ეს ორი ინიციატივა მიზნად ისახავს ერთი და იმავე საკითხის ახლებურად და სამართლიანად მოწესრიგებას, ამ კანონპროექტის ინიციატორებსა და საინიციატივო ჯგუფის წევრებს შორის საკმაოდ ნაყოფიერი კონსულტაციები გაიმართა.

ამრიგად, ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში გადაწყდება ის პრობლემა, რომლის გადაჭრას მიზნად ისახავდა აღნიშნული საინიციატივო ჯგუფი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე მუხლი ითვალისწინებს განმცხადებლისთვის მისი ისტორიული გვარის აღდგენის შესაძლებლობას, თუმცა დახვეწას საჭიროებს და ექსპერტულ ანალიზს უნდა დაექვემდებაროს ის მექანიზმი, რომელიც ეხება განმცხადებლისთვის სასურველი გვარის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხს, არსებული გვარის არაავთენტურობიდან გამომდინარე. ეფექტიანი მექანიზმის არარსებობის პირობებში კი, უფლება ავთენტური გვარის ტარების თაობაზე არ არის ჯეროვნად რეალიზებული, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის ფარგლებში მოაზრებული თვითგამორკვევის, კერძოდ, საკუთარი გვარის ტარების უფლების ჯეროვან რეალიზაციაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის² მე-11 მუხლის პირველი პარაგრაფით ხაზგასმულია მხარეების, მათ შორის - საქართველოს, ვალდებულება - ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისთვის უზრუნველყოს თავიანთი გვარებისა და სახელების ოფიციალური აღიარების შესაძლებლობა, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების საფუძველზე. კონვენციის განმარტებით ბარათში კი აღნიშნულია, რომ ამ ვალდებულების პრაქტიკული იმპლემენტირების მხრივ, მნიშვნელოვანია მათი მორგება განხორციელდეს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მაგალითად, პირები, რომლებმაც იძულებით შეიცვალეს საკუთარი სახელები³, უფლება აქვთ დაიბრუნონ ის, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ხდება უფლების ბოროტად გამოყენება⁴. ამდენად, კონვენციით ნაკისრი ამ ვალდებულების შესრულების მიზნით,

² რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, 13.10.2005. [სსმ, N1938].

³ სადაც, ასევე, მოიაზრება გვარები.

⁴ Council of Europe Framework Convention for the Protection of National Minorities, 10.11.1994, Explanatory Report, Art. 11 (1). [<https://rm.coe.int/16800c10cf>].

მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული წესი ჯეროვნად და მაქსიმალურად ეფექტიანად იქნეს იმპლემენტირებული შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ სივრცეში. გარდა ამისა, უმცირესობათა უფლებების დაცვაზე, სადაც, მათ შორის, მოაზრებულია თვითგამორკვევის უფლებაც, მითითებულია ისეთ საერთაშორისო აქტებში, როგორცაა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ბავშვის უფლებათა კონვენცია და ა.შ., რაც თავის მხრივ, ხაზს უსვამს მათი უფლებების დაცვის მნიშვნელობასა და აუცილებლობას.

ამდენად, საქართველოს მოქალაქეობის მქონე ეთნიკური უმცირესობებისთვის არაავთენტური გვარის შეცვლის პროცედურის გამართული მექანიზმის შემუშავება აუცილებელია მათი ძირითადი უფლების ჯეროვანი რეალიზაციისთვის.

ა.ბ.) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის შეიქმნება ეფექტიანი მექანიზმი ავთენტური გვარის მინიჭებისთვის, რომელიც მათ დაკარგეს ზემოაღნიშნული ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე.

ამასთან, მსგავსი შემთხვევებისთვის, ფორმირებული იქნება გვარის შეცვლის დეტალიზებული პროცედურა, რაც გულისხმობს შესაბამისი გენეალოგიური თუ სხვა ტიპის ისტორიული კვლევის შედეგად პირთა ავთენტური გვარების განსაზღვრას. შედეგად კი, განმცხადებლები მარტივად შეძლებენ აღნიშნული სერვისის მიღებას შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით, საქართველოს ცალკეული მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფილია თავიანთი გვარის ავთენტური (ნამდვილი) გვარით შეცვლის უფლება, თავიანთი ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შესატყვისად, კერძოდ:

კანონპროექტის პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანსა და რეგულირების სფეროს. ის გავრცელდება საქართველოს იმ მოქალაქეებზე, რომელთა გვარიც არ არის ფორმირებული მათი ეროვნული და კულტურული ტრადიციების შესაბამისად. ამდენად, დაგეგმილია აღნიშნული გვარების შეცვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდოლოგიის შესაბამისად. ამასთან, გვარის შეცვლის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა განმცხადებლებს ექნებათ მხოლოდ ერთხელ.

კანონპროექტის მე-3 მუხლი განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილმა პირმა. ამავდროულად, ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რა დროსაც, ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში, გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი ამ უფლებით ვერ ისარგებლებს.

კანონპროექტის მე-4 მუხლი აყალიბებს დროებითი კომისიის ფორმირების საფუძვლებს, რომელიც შემდგომ უფლებამოსილი იქნება შეისწავლოს და საქართველოს იუსტიციის მინისტრს რეკომენდაციის სახით წარუდგინოს იმ ეროვნებათა ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა არაავთენტური გვარების მინიჭების პრაქტიკას. კომისია, ასევე, უფლებამოსილი იქნება შეიმუშავოს და მინისტრს რეკომენდაციის სახით წარუდგინოს გვარების შეცვლის მეთოდოლოგია. ამავდროულად, ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ხდება კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა.

კანონპროექტის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილი იქნება, კანონით გათვალისწინებული დებულებების აღსრულების მიზნით, გამოსცეს კანონქვემდებარე აქტი, რითაც განისაზღვრება: ეროვნებათა ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა არაავტენტური გვარების მინიჭების პრაქტიკას, გვარის შეცვლის მეთოდოლოგია, გვარის შეცვლასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადები, მომსახურების საფასური და სხვა საკითხები, რომელიც დაკავშირებულია გვარის შეცვლის მოცემულ სპეციალურ პროცედურასთან.

კანონპროექტის მე-6 მუხლი შეიცავს დებულებებს გვარის შეცვლის მეთოდოლოგიის შესახებ. განსაზღვრულია, რომ მეთოდოლოგიის შემუშავებისას მხედველობაში მიიღება კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, ხოლო თავად მეთოდოლოგია გულისხმობს წესების შემუშავებას, რითაც განისაზღვრება ახალი გვარის არჩევის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგია შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა ეროვნების მიხედვით, მათი ისტორიულ-კულტურული ტრადიციების შინაარსისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

კანონპროექტის მე-7 მუხლი აყალიბებს გვარის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი ორგანო - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. ამავე მუხლით დგინდება, მათ შორის, გვარის შეცვლაზე უარის თქმის საფუძვლები და გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ალტერნატიული მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა.

კანონპროექტის მე-8 მუხლი ეხება დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვასა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფას. გამომდინარე იქედან, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს პირთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ამ მონაცემთა დაცვას, რამდენადაც, ის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს.

კანონპროექტის მე-9 მუხლი ეხება კანონის მიღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კანონპროექტის მოქმედება დროში განსაზღვრულია 5 წლიანი პერიოდით, ვინაიდან გათვალისწინებული ღონისძიებები წარმოადგენს დროებითს და არ საჭიროებს დროში განუსაზღვრელ მოქმედებას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ, ამდენად, სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან კანონპროექტის კავშირის დასაბუთება არ მოითხოვება.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით გათვალისწინებული ძირითადი რეგულაციები ამოქმედდება 2022 წლის 1 თებერვლიდან და 1 აპრილიდან, ხოლო კანონპროექტის ის ნაწილი, რომელიც სამართლებრივი და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. ეს პერიოდები აუცილებელია იმისთვის, რომ გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდეს და რეალურად შეიქმნას

კანონპროექტით გათვალისწინებული მექანიზმი. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზნები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, არ არის მოსალოდნელი, რომ დაინტერესებულ პირთა მიმართვიანობის სავარაუდო, თუნდაც მაქსიმალურად მაღალი მასშტაბი (კანონის მოქმედების 5 წლიანი პერიოდის მხედველობაში მიღებით), მაგალითად, შექმნის, დამატებით თანამშრომელთა დაქირავების აუცილებლობას. მიმართვიანობა შეუძლებელია იყოს ისეთი, რომელიც ზოგადად სამოქალაქო რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული მომსახურების მოთხოვნათა რაოდენობას არსებითად გაზრდის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კანონპროექტით გათვალისწინებული წესით გვარის შეცვლისთვის, გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი, ვალდებული იქნება გვარის შეცვლისთვის განსაზღვრული საფასური გადაიხადოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, რაც გავლენას მოახდენს ამ უწყების ბიუჯეტის საკუთარ შემოსავალზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. აღნიშნული საფუძვლით გვარის შეცვლის მოთხოვნა არ გამოიწვევს წლიურად სერვისების მიწოდების მნიშვნელოვან ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, აგრეთვე, სახელმწიფოს ან/და მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღებ პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე

გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

კანონპროექტს ექნება ფინანსური შედეგები გვარის შეცვლის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირებზე, რომლებიც სურვილისამებრ ისარგებლებენ აღნიშნული საფუძვლით გვარის შეცვლის შესაძლებლობით. ამ შემთხვევაში ისინი ვალდებული იქნებიან გადაიხადონ გვარის შეცვლისთვის განსაზღვრული საფასური, რომლის ოდენობაც დგინდება ამ კანონის მიხედვით საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით და არ შეიძლება აღემატებოდეს გვარის შეცვლისთვის კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის დადგენილება #508 (29.12.2011) დანართი, მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი) დადგენილი საფასურის ნახევარს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის მინისტრს ენიჭება უფლებამოსილება გამოსცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი - ბრძანება, რომელიც შეეხება პირის გვარის ამ კანონპროექტით გათვალისწინებული სპეციალური საფუძვლით შეცვლის პროცედურებსა და მასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას. ამავე ბრძანებით უნდა განისაზღვროს გვარის შეცვლის პროცედურასთან დაკავშირებული მომსახურების საფასური, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს გვარის შეცვლისთვის კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის დადგენილება #508 (29.12.2011), დანართი, მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი) დადგენილი საფასურის ნახევარს.

ბ¹) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტი არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში მონაწილეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ასევე ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. კანონპროექტი მომზადებულია ამ უწყებებთან ერთობლივად.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: მიხეილ სარჯველაძე, ალუდა ღუდუშაური, სავალან მირზოევი, ზაურ დარგალი, ისკო დასენი, გოგი მეშველიანი, ანტონ ობოლაშვილი, სოზარ სუბარი, სამველ მანუკიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: მიხეილ სარჯველაძე, ალუდა ღუდუშაური, სავალან მირზოევი, ზაურ დარგალი, ისკო დასენი, გოგი მეშველიანი, ანტონ ობოლაშვილი, სოზარ სუბარი, სამველ მანუკიანი.